სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

02.03.2010№ 28

თბილისი

2009/2010 სასწავლო წლის
მეორე სემესტრის სასწავლო
განრიგის შესახებ

2009/2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2009/2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სასწავლო პროცესი სწავლების ყველა საფეხურის – პროფესიული უმაღლესი და ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა – სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის დაიწყოს 2010 წლის 9 მარტს და დასრულდეს 2010 წლის 4 ივლისს (იხ. დანართი 1);
2. საგამოცდო სესიები სწავლების ყველა საფეხურის – პროფესიული უმაღლესი და ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა – სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის ჩატარდეს 2010 წლის 5 ივლისიდან 2010 წლის 31 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
3. სწავლების ყველა საფეხურის – პროფესიული უმაღლესი და ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა – სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესი წარიმართოს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების და "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის" შესაბამისად;
4. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა შეფასების (იხ. დანართი 2) შედეგები შეიტანოს სტუდენტთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 3 და 4) და წარუდგინოს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტს (შემდგომში – აკადემიური დეპარტამენტი) შეფასების ჩატარების შემდეგ მომდევნო კვირის განმავლობაში და ბაკალავრიატის შედეგები იგივე ვადაში განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებულ შესაბამის მონაცემთა ბაზაში;
5. საზაფხულო არდადეგები დაიწყოს 2010 წლის 2 აგვისტოს;
6. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კვირებში ან 2010 წლის 2 აგვისტოდან ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე).

საფუძველი: "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*